# პროექტ:

# „ქობულეთი - ტოლერანტობის ქალაქი“

# მომზადების გზამკლევი

# ივნისი, 2016

**1 მიმართვა ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს**

აუცილებელია პროექტის მიწოდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია პროექტთან დაკავშირებული ყველა კითხვა დამისამართდეს ორგანიზაციასთან. რესურსცენტრმა უნდა სთხოვოს სკოლის დირექტორებს

პროექტის შინაარსის და მისი მომზადების თაობაზე აღნიშნული გზამკვლევის გაცნობა მე-9-მე-12 კლასის მოსწავლეების მიმართ.

**2 მიმართვა ქობულეთის სკოლის დირექტორებს**

აუცილებელია პროექტი გაცნობილ იქნეს სკოლის მე-9-მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის. მნიშვნელოვანია, ყველა სკოლა პასუხისმგებლობით ეპყრობოდეს პროექტის მიზნებსა და ამოცანებს, პროექტში მონაწილეობას და გააჩნდეს შესაბამისი მოტივაცია თავისი სკოლის მოსწავლე აღმოჩნდეს გამარჯვებული/წარმატებული მონაწილე. შესაბამისად, სკოლის დირექტორებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი საორგანიზაციო მხარის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. ჩვენი რეკომენდაციაა, ზემოაღნიშნული კლასების გაერთიანებული შეკრების ორგანიზება, სადაც ვრცლად იქნება გაცნობილი პროექტი.

**3. პროექტში მონაწილეობის უფლების მქონე პირები**

პროექტში მონაწილეობის უფლება გააჩნიათ ა) ქობულეთის კერძო სკოლებს, ბ) ქობულეთის საჯარო სკოლებს. პროექტში მონაწილეობას იღებს სკოლის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები.

**4. პროექტის/კონკურსის კონკრეტული მიზნები, რომელსაც მონაწილემ უნდა უპასუხოს:**

ა) სამოქალაქო როლის და ცნობიერების ამაღლება;
ბ) თაობათა შორის დიალოგის უზრუნველყოფა;
გ) ტრადიციულობისა და თანამედროვეობის ანალიზი;
დ) ტოლერანტულ გარემოებოში თანაცხოვრობის შეფასება

**5. პროექტის კონკურსი**

პროექტის ფარგლებში ცხადდება თავისუფალი/ანალიტიკური თემების კონკურსი. კონკურსი მონაწილეს სთავაზობს ორ თავისუფალ/ანალიტიკურ თემას:

**ა) „მე ვარ საქართველოს მოქალაქე“...**
**ბ) „ჩემი ტოლერანტული ქალაქი“.**

კონკურსში მონაწილემ უნდა აირჩიოს შემოთავაზებული თემიდან ერთ-ერთი. პირველი თემა წარმოადგენს და მიმართულია **სამოქალაქო პასუხისმგებლობის როლსა და შეფასებაზე,** მეორე თემა ეხება **ტრადიციული ურთიერთობების მნიშვნელობაზე მსჯელობას.**

საკონკურსო თემის ხასიათი ეფუძნება ავტორის ანალიტიკურ აზროვნებას და მსჯელობის თავისუფლებას.

პირველი თემა უნდა პასუხობდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ხედვის წარმოჩენას არჩეული რომელიმე საკითხის მიმართ. შესაძლებელია, მაგალითად, ეს საკითხი აღმოჩნდეს ევროპული არჩევანი, დემოკრატიული ღირებულებების შეფასება, გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე მსჯელობა, რელიგიური თავისუფლების საკითხები, საზოგადოების როლზე დაკვირვება **ან ნებისმიერი საკითხი/თემა, რომელის მიმართაც, საკუთარი დამოკიდებულება იქნება წარმოჩენილი.**

ავტორმა საკუთარი მსჯელობა და ხედვა უნდა დააფუძნოს ერთი ან რამდენიმე პრობლემის ან საკითხზე მსჯეობას, შედარებით ანალიზსს. მნიშვნელოვანია, თემის თხრობა დაეფუძნოს შესავალს, მსჯელობის ნაწილს, დასკვნას. ავტორმა მსჯელობის დროს უნდა უპასუხოს, თუ რატომ ფიქრობს ასე საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მეორე თემას, ავტორს გააჩნია შესაძლებლობა, ნაშრომი წარმოადგინოს ქობულეთის ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებიდან, რომელიც, თავისთავში მოიაზრებს ტოლერანტული გარემოს მნიშვნელობაზე საუბარს.

ქობულეთი ტოლერანტობის ქალაქია, სადაც ისტორიულმა წარსულმა და თანამედროვე ცხოვრებამ თვალსაჩინოებად მოიტანა ორი დომინანტი რელიგიური საზოგადოების არსებობა, მარავალათწლოვანი კულტურათა ერთობლიობა და თაობათა შორის დიალოგი, რომელიც მუდმივად საჭიროებს განახლებას, პასუხისმგებლობას და გაფრთხილებას. (*პროექტის მიზანმა მომავალში უნდა შეამციროს ან გამორიცხოს ისეთი მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ქალაქში, 2014 წლის 10 სექტემბერს, როდესაც მშენებარე მუსლიმურ მედრესეს ღორის თავი მიამაგრეს).*

ავტორის მიზანია, საკუთარ ნაშრომში ისაუბროს და დაასაბუთოს, რომ ქობულეთის ტრადიციულობის განმსაზღვრელი ბევრი კულტურული ფაქტი და ცოცხალი მოვლენაა. შესაძლებელია, თემა შეეხოს ტრადიციულ ურთიერთობებს მართლმადიდებელ და მუსლიმ ან სხვა რელიგიური კონფენციის წარმომადგენელთა ურთიერთობებს, რომელიმე საკულტო ნაგებობის ისტორიას, რომელიმე რელიგიურ ობიექტს, ტოპონიმიკას, ისტორიულ ფაქტებს ქობულეთის წარსულიდან, ისტორიულ თუ თანამედროვე პიროვნებებს, რომელთა საქმიანობამაც განსაზღვრა ან განსაზღვრავს ტოლერანტული თანაცხოვრების მნიშვნელობას.

**ავტორმა, შესაძლებელია საკუთარი შეხედულებით შემოგვთავაზოს განსხვავებული მიდგომა და მისთვის ტოლერანტული ქალაქის განმსაზღვრელი აღმოჩნდეს ნებისმიერი მოვლენა, ფაქტი, გარემოება, მიზეზი, რომელიც პასუხობდეს თემის სათაურის სულისკვეთებას და მიზანს.**

**6. თემის მომზადების დროს დაცული პირობები**

ა) თემა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი მოსწავლის მიერ;
ბ) თემას უნდა მიეთითოს მისი დასახელება;
გ) თემას უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა, სკოლა, კლასი;
დ) თემას უნდა მიეთითოს ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი /სავალდებულოა/ ელექტრონული ფოსტა /სასურველია/. იმ შემთხვევაში, თუკი ავტორს არ გააჩნია საკონტაქტო ინფორმაცია, დასაშვებია მისი ოჯახის წევრის ან პედაგოგის საკონტაქტო ინფორმაცია)
ე) თემა წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით (შრიფტი 12, არაუმეტეს 3 გვერდი);
ვ) თემაში სავალდებულოა სქოლიოს მითითება/გამოყენებული ლიტერატურა (თუკი ავტორი თემაში გამოიყენებს ასეთ აღნიშვნებს);
ზ) თემა ორგანიზაციას უნდა მიეწოდოს მხოლოდ ელექტრონული ფოსტით;

7. ელექტრონული ფოსტა, სადაც თემა უნდა გამოიგზავნოს:

## pryoungbarristers@yahoo.com

**8. ორგანიზაციის საკონტაქტო ნომერი:**

პროექტის მონაწილეს, ნებიისმიერი კითხვის დროს, შეუძლია დაგვიკავშირდეს ნომერზე: 599 291202 (გიორგი ზოიძე, ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი)

**9. ორგანიზაციის ვებ-გვერდი:**

ორგანიზაციის საქმიანობის, პროექტის თაობაზე შეგიძლიათ გაეცნოთ: www.barristers.ge
***Facebook/***ახალგაზრდა ადვოკატები

## 10. პროექტის ვადები:

ა) თემების მიღება, კონკურსის მიმდინარეობის პერიოდი – 08/06/16 – 17/06/2016;
***2016 წლის 17 ივნისის 18:00 საათის შემდგომ შემოსული თემა არ მიიღება***

ბ) საკონკურსო თემების შეფასება – 17/06/16 –21/06/16
***საკონკურსო კომისია შედგება ორგანიზაციის მიერ მოწვეული სპეციალისტებით, მათ შორის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობიდან. კომისია შედგება, სულ 5 წევრისგან.***

გ) დაკვნითი ღონისძიებები – **25 ივნისი, 2016, ქობულეთი**
***ორგანიზაცია დასკვნით ღონისძიებაზე დააჯილდოვებს გამარჯვებული და წარმატებული თემის ავტორებს. მათ გადაეცემათ სპეციალური სერტიფიკატები, ლიტერატურა, ხოლო კონკურსი გამოყოფს I, II და III ადგილზე გასულ მონაწილეებს, რომლებსაც გადაეცემათ ფულადი თანხა. ყველა მონაწილის თემა გამოქვეყნდება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე და გამოიცემა კრებულის სახით. პროექტის ფარგლებში, ჩაფიქრებულია ტოლერანტობის ქუჩის ან სკვერის გახსნა, რომლის თაობაზეც, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან მიღწეულია წინასწარი თანხმობა. დაჯილდოვება ჩაფიქრებულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ან/და პეტრას ციხეზე ან/და სხვა მნიშვნელოვან კულტურულ ობიექტზე.***

**11. ფულადი საჩუქარი**

- I ადგილი – 250 ლარი;
- II ადგილი – 150 ლარი;
- III ადგილი – 100 ლარი

**12. პარტნიორები**

პროექტის პარტნიორები პროექტის მიმდინარეობისა და დასკვნით ეტაპზე, საკუთარ წვლილს შეიტანენ გამარჯვებული და წარმატებული თემის ავტორთა მოტივაციისა და მხარდაჭერის საქმეში. პროექტის იდეური პარტნიორი იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მედია.

## პროექტის აღმასრულებელი გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი, ხელმძღვანელი
რუსლან ალექსიძე ორგანიზაციის მთავარი იურისტი
გიორგი ზოიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
მარიამ სვიმონიშვილი, ადმინისტრაციული მენეჯერი.

პროექტზე საავტორო უფლებები ეკუთვნის ორგანიზაციას.

**პროექტი:**

**„ქობულეთი - ტოლერანტობის ქალაქი“**

**ინიციატივაზე პასუხისმგებელი პირი:**
**ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“**

**ივნისი, 2016**

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

## პროექტის სახელწოდება

*„ქობულეთი - ტოლერანტობის ქალაქი"*

## პროექტის აღწერა

ქობულეთი ტოლერანტობის ქალაქია, სადაც ისტორიულმა წარსულმა და თანამედროვე ცხოვრებამ თვალსაჩინოებად მოიტანა ორი დომინანტი რელიგიური საზოგადოების არსებობა, მარავალათწლოვანი კულტურათა ერთობლიობა და თაობათა შორის დიალოგი, რომელიც მუდმივად საჭიროებს განახლებას, პასუხისმგებლობას და გაფრთხილებას.

ქალაქის ტოლერანტული გარემოს არსებობას მნიშვნელობა აქვს საერთო ქართული ცნობიერებისა და დემოკრატიული ურთიერთობების უზრუნველსაყოფად.

პროექტის მიზანია, ტოლერანტული ქალაქის ახალი თაობა მუდმივად გრძნობდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, როცა არსებობს თანამედროვე დროის ახალი გამოწვევები, როგორც გამოხატვის თავისუფლების, ასევე რელიგიის თავისუფლების მიმართულებით, რათა გავაძლიეროთ ტრადიციებზე დაფუძნებული სწორი ღირებულებების მქონე ადგილობრივი საზოგადოება.

შესაბამისად, პროექტის ყველა აქტიურობა მიმართულია საერთო სამოქალაქო პასუხისმგებლობის შექმნისკენ და ამ პროცესში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახალგაზრდების თანამონაწილეობას.

ერთი თვის მანძილზე, ქობულეთის ტრადიციულ ტოლერანტობას შეაფასებს ადგილობრივი ახალი თაობა, საჯარო სივრცეში, პროექტის გულშემატკივარი და თანამონაწილე გახდება, ფაქტობრივად ქალაქში ყველა დაინტერესებული ადამიანი, რაც ხელს შეუწყობს ადგილზე თობათა შორის კომუნიკაციას და საჭირო თანამშრომლობის განვითარებას.

## პრობლემის აღწერა

საქართველოში თანასწორუფლებიანი საზოგადოების შექმნა ტრადიციების ერთობლიობით და სამართლებრივი პრინციპების დაცვითაა შესაძლებელი. ტოლერანტობა არ არის მხოლოდ სხვისი

უფლების პატივისცემა. ტოლერანტობა არის პასუხისმგებლობა. ამ პროცესში მთავარია თაობათა შორის დიალოგი და ახალი სოციალური გარემოს ჩამოყალიბება სამოქალაქო ცნობიერების გაზრდით. საზოგადოებაში მყარი ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა ახალგაზრდებს ჰქონდეთ ინფორმაცია და სივრცე დისკუსიისთვის.
სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება მომავალში შეამცირებს ან გამორიცხავს ისეთ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ქალაქში, 2014 წლის 10 სექტემბერს, როდესაც მშენებარე მუსლიმურ მედრესეს ღორის თავი მიამაგრეს. ამ საქმეზე, საერთო სასამართლოებში, საქმე დღემდე მიმდინარეობს.
პროექტი ადგილზე მონაწილეებს დაეხმარება გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლების უპირატესობის წარმოჩენაში და ჩამოაყალიბებს საერთო ხედვას საერთო სირთულეების დაძლევისთვის, რაც დღეს ქალაქის ტრადიციულ ურთიერთობებსა და ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას სჭირდება.

## პროექტის მიზანი

ა) ახალგაზრდების ინფორმირება გამოხატვის თავისუფლების, რელიგიის თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებების მნიშვნელობის შესახებ;
ბ) თაობათა შორის დიალოგის უზრუნველყოფა ტრადიციული ტოლერანტული გარემოს შენარჩუნების, განვითარებისა და დაცვის მიმართულებით;
გ) ახალგაზრდების თანამონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდა ტოლერანტული ქალაქის საზოგადოებრივი ინიციატივებისთვის;
დ) ტოლერანტულ გარემოში თანაცხოვრების პასუხისმგებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა.

## ამოცანები

ა) ადგილობრივი საზოგადოების დიალოგი ტოლერანტობის ისტორიულ და თანამედროვე მნიშვნელობაზე საერო და სასულიერო საზოგადოების მონაწილეობით;
ბ) გამოხატვის თავისუფლების, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ დიალოგი;
გ) თავისუფალი თემების კონკურსის გამოცხადება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეებისთვის, ტოლერანტობის ტრადიციულობისა და თანამედროვე გაგების შესახებ მომზადებული ნაშრომების კრებულის სახით გამოცემა, გამარჯვებული და წარმატებული თემის ავტორთა დაჯილდოვება;
დ) ტოლერანტობის ქუჩის გახსნა ქობულეთში.

## განხორციელების გზები

პროექტის განხორციელების პროცესი - პროექტის ყველა ეტაპი წარმოადგენს მკაცრად შეთანხმებულ და პროექტში მონაწილე ყველა მხარესთან აქტიური კომუნიკაციის შედეგს. პროექტის მიზნების, ამოცანების და მნიშვნელობის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდებათ პროექტის პარტნიორ უწყებებსა და სამიზნე ჯგუფებს. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებსა და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის მონაწილეობით, მუნიციპალიტეტის სკოლებს.

**ორგანიზაცია** - ორგანიზაცია პარტნიორებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას, ღონისძიებათა საორგანიზაციო მხარეების გადაჭრას, პროექტის დათქმულ დროსა და პირობებში ჩატარებას, საკონსკურსო კომისიის ფორმირებას და დასკვნითი ღონისძიების საორგანიზაციო საკითხების გადაჭრას;

**ორგანიზაციის გუნდი** - უზრუნველყოფს პროექტის გეგმის შესრულებაზე კონტროლს, კრებულის მომზადებას და გამოცემას, პროექტის შემაჯამებელი დაჯილდოვების ღონისძიების ჩატარებას, პროექტის დასკვნით ეტაპზე ტოლერანტობის ქუჩის გახსნის პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო კომუნიკაციას, პარტნიორთა ღირსეულ ასახვას პროექტის რეგალიებსა და ოფიციალურ ტექსტზე;

**კონკურსი** - კონკურსი წარმოადგენს გამოცხადებული თავისუფალი თემების მიღებისთვის დადგენილ პროცესს. საკონკურსო თემები იგზავნება ორგანიზაციის მხრიდან გამოცხადებულ ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე. საკონკურსო ვადის ამოწურვის შემდეგ, თემები ავტორის

მონაცემთა იდენტიფიცირების გარეშე ეგზავნებათ საკონსკურსო კომისიის წევრებს, რომლებიც დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს შემოსული ნაშრომების შეფასებას ორგანიზაციის მიერ კონკურსისთვის წინასწარ დადგენილი შეფასებითი კრიტერიუმის მიხედვით. კონკურსი გამოავლენს I,II და III ადგილზე გასულ გამარჯვებულ ავტორებს, ყველა სხვა მონაწილე ისარგებლებს კონკურსის წარმატებული მონაწილის სტატუსით. გამარჯვებულ ადგილზე გამოვლენილ პირებს გადაეცემათ პრიზები, მათ შორის ფინანსური სახით, ხოლო პროექტის ყველა მონაწილე დაჯილდოვდება სპეციალური სერტიფიკატებით, პარტნიორების მიერ დაწესებული საჩუქრებითა და მნიშვნელოვანი ლიტერატურით.

**საკონსკურსო კომისია** - ორგანიზაცია კონკურსის გამჭვირვალობისა და მეტი ნდობისთვის, ქმნის საკონკურსო კომისიას. პროექტის განმახორციელებელ ქალაქში, საკონსკურსო კომისიის შემადგენლობაში მოწვეულ იქნება პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან თემატურად კავშირში მყოფი ორი უფლებამოსილი პირი, რომლის წარმოდგენის პრეროგატივა ექნებათ ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას (გამგეობა, საკრებულო). მათთან ერთად, კომისია შედგება პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ მოწვეული სამი სპეციალისტის მონაწილეობით, რომლებსაც უშუალო კავშირი ექნებათ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროსთან.

**კონკურსში მონაწილე** - კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნებათ ადგილობრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 9-12 კლასის მოსწავლეებს.

**საკონკურსო თემა** - საკონსკურსო თემა უნდა პასუხობდეს კონკურსის პრინციპებსა და კრიტერიუმებს, რომელიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი. საკონკუსრო თემა უნდა მომმზადეს უშუალოდ ავტორის მონაწილეობით და თემის ხელმძღვანელად დაუშვებელია მიეთითოს პედაგოგი ან სხვა დაინტერესებული მხარე. საკონკუერსო თემის ხასიათი ეფუძნება ანალიტიკურ აზროვნებას და მსჯელობის თავისუფლებას. საკონსკურსო თემის მოცულობა შეუზღუდავია.

**საკონსკურსო თემის სათაური** - საკონსკურსო თემად წარმოდგენილი იქნება ორი სათაური:

**ა) „მე ვარ საქართველოს მოქალაქე“**
**გ) „ჩემი ტოლერანტი ქალაქი“**

თითოეული საკონსკურსო თემის მომზადებას ექნება თავისი განმარტება და მიმართულება.

**პარტნიორები** - პროექტის პარტნიორები პროექტის მიმდინარეობისა და დასკვნით ეტაპზე, საკუთარ წვლილს შეიტანენ გამარჯვებული და წარმატებული თემის ავტორთა მოტივაციისა და მხარდაჭერის საქმეში. პროექტის იდეური პარტნიორი იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მედია.

## მოსალოდნელი შედეგები

პროექტის გეგმა და სამოქალაქო ჩართულობა შესაძლებლობას მოიტანს ადგილზე თაობათა შორის დიალოგის უზრუნველყოფა ტრადიციული ტოლერანტული გარემოს შენარჩუნების, განვითარებისა და დაცვის მიმართულებით, ასევე ახალგაზრდების თანამონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდა ტოლერანტული ქალაქის საზოგადოებრივი ინიციატივებისთვის, გახდეს შეუქცევადი და ცხოვრების წესი. მოხდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.

| **პროექტის სამუშაო გეგმა** | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| **ეტაპი** | **აქტივობა** | **დაწყების თარიღი** | **დასრულების თარიღი** |

| | | | |
|---|---|---|---|
| **1** | პროექტის დაწყებისა და განხორციელების შესახებ მედია-რელიზის გავრცელება<br><br>პროექტის პრეზენტაცია ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში *(სავარაუდო ადგილი)*<br><br>პროექტის ფარგლებში, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელთათვის, მუნიციპალური დონის ანალიტიკური თემების კონკურსის გამოცხადება.<br><br>პროექტის საკონსკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა და საკონკურსო კრიტერიუმების გაცნობა. | **08/06/16** | |
| **2** | საკონსკურსო ნაშრომების მიღება | **08/06/16** | **17/06/16** |
| **3** | საკონსკურსო თემების შეფასება | **17/06/16** | **21/06/16** |
| **4** | პროექტის დასკვნითი დაჯილდოვება წარმატებული და გამარჯვებული ავტორების გამოვლენა,<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობით, ქობულეთში ტოლერანტობის ქუჩის გახსნა. | **25/06/16** | |

## პროექტთან დაკავშირებული რისკები

*შიდა ფაქტორი:* ქობულეთის მუნიციპალიტეტის 48 საჯარო სკოლის უმეტესობას წარმოადგენს სოფლებში არსებული სკოლები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ შესაძლებელია პროექტის პრეზენტაციაზე ვერ მოხერხდეს აღნიშნული სკოლებიდან მოსწავლეების სრულფასოვნად წარმოდგენა. აღნიშნულ რისკ–ფაქტორს აღმოვფხვრით ღონისძიებების ჩატარების დროის ორგანიზებით და სკოლებთან აქტიური კომუნიკაციით, რათა შეხვედრების მონაწილე მოსწავლეებმა შეძლონ ადგილზე დაბრუნება შესაბამის დროში არსებული მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურებით.

*გარე ფაქტორი:* გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიის თავისუფლების თემების მიმართ ტრადიციული საზოგადოების ცალმხრივი დამოკიდებულება. ფაქტორს დავძლევთ საგნობრივი დისკუსიით, ხოლო 2014 წლის 10 სექტემბრის ადგილობრივ დონეზე მომხდარი შეუმწყნარებლობის ფაქტი, პირდაპირ წარმოადგენს ასეთი შესაძლო ფაქტორის დაძლევის მნიშვნელოვან წინაპირობას.

## შეფასება

პროექტის წარმატებას განსაზღვრავს პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით, რელევანტური საორგანიზაციო და საპროგრამო გეგმა. ამასთან, პროექტის ინიციატორი ორგანიზაციის მხრიდან ადგილობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების უშუალოდ ცოდნა და პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მისი ეფექტურობისა და მდგრადობის ხარისხი.

პროექტის წარმატებულობა მდგომარეობს მის საჭიროებაში, რათა ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ისტორიული, ტოლერანტული გარემო და ინფორმირებულმა საზოგადოებამ არ დაუშვას ან ჰქონდეს სწორი რეაქცია იმ შესაძლო ნეგატიურ ფაქტებზე, რომელიც მიმართული იქნება რელიგიური შეუმწყნარებლობისკენ.

პროექტის წარმატებული მხარეა მისი მასობრიობა, ხოლო მდგარდობის თვალსაზრისით, იდეის წარმოჩენით, ადგილობრივი საზოგადოების პასუხისმგებლობის გაზრდა, ადგილზე ტოლერანტობის ქუჩის გახსნა და ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვანი ნაშრომების გამოცემა, რომელიც ქალაქისთვის, შეიძლება გახდეს ახალი სამაგიდო წიგნი ტოლერანტობის, დემოკრატიული ღირებულებებისა და მომავლის ხედვებთან დაკავშირებით.